

ფსიქიატრიულ სტაციონარში პაციენტის დაყოვნება არასამედიცინო  
ჩვენებით სოციალური პრობლემების გამო

სოფია კვიციანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ზავრადაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: ს. კვიციანი

თარიღი: 6/07/15

## აბსტრაქტი

საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვა და საქართველოს ფსიქიატრიული სტაციონარების მონიტორინგის ანგარიშები მიუთითებს, რომ პაციენტების ხანგრძლივი დაყოვნება ფსიქიატრიულ სტაციონარში კვლავ პრობლემას წარმოადგენს და უარყოფით გავლენას ახდენს პაციენტის გამოჯანმრთელებისა და თემში დაბრუნების პროცესზე. ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა შეგვესწავლა საქართველოს ფსიქიატრიულ სტაციონარებში პაციენტების ხანგრძლივი დაყოვნების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები და მათ შორის პაციენტების არასამედიცინო ჩვენებით ხანგრძლივი დაყოვნების დროს სოციალური ფაქტორების როლი.

კვლევა ჩატარდა თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის რეზიდენციულ განყოფილებაში, რომელიც ქვეყანაში არის ერთადერთი ხანგრძლივი დაყოვნების დაწესებულება ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებისთვის. კვლევაში მონაწილეობდა 58 ადამიანი, ამათგან 29 ქრონიკული ფსიქიკურად დაავადებული პაციენტი და 29 ნათესავი. ყველა პაციენტის სტაციონირების ხანგრძლივობა იყო არანაკლებ 12 თვე, პაციენტებისა და მათი ნათესავების ინტერვიუებისათვის გამოყენებული იყო სოციალური და ქცევითი პრობლემების, კოგნიტური ფუნქციების და სიმპტომების სიმძიმის შეფასების ჯანდაცვის ნაციონალური შეფასების სკალა - HoNOS, ასევე მანჩესტერის მოკლე კითხვარი ცხოვრების ხარისხის შესაფასებლად - MANSA.

კვლევის შედეგების მიხედვით, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები საავადმყოფოში წლობით იმყოფებიან, მათ შორის ისეთი პირებიც, რომლთაც მკურნალობა აღარ ესაჭიროებათ, მაგრამ ნათესავებს არ მიყავთ ან არ აქვთ წასასვლელი. მათი მკურნალობა სტაციონარში ძირითადად მედიკამენტურია, თუმცა მათ უფრო მეტად ესაჭიროებათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების აღდგენა. სწორედ ეს ხანგრძლივი სტაციონირება არის მიზეზი ამ პირების სოციალური იზოლაციისა და შრომითი უნარ-ჩვევებს დაკარგვისა.

კვლევის შედეგები ეხმიანება საერთაშორისო კვლევების დასკვნებს იმ სოციალური ფაქტორების შესახებ, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ფსიქიკური დაავადების მქონე პაციენტების ხანგრძლივ დაყოვნებაში, იმ შემთხვევაში როდესაც პაციენტი არ საჭიროებს აქტიურ სამედიცინო ჩარევას, როგორცაა: ფინანსური პრობლემები - 34%, კოგნიტური და სოციალური უნარ-ჩვევები - 55% და სხვა. ამ ფაქტორების გათვალისწინება და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება შეამცირებს პაციენტთა სტაციონარში დაყოვნებას და ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** სოციალური ფაქტორები, ხანგრძლივი დაყოვნება არასამედიცინო ჩვენებით

## **Abstract**

According international literature, long delay in a psychiatric hospital is problem for patients and have a negative impact on the patient's recovery. Main aim was to study patients' long delay in psychiatric hospitals and the role of social factors .

The study was conducted at the Center for Mental Health residential facility, which is the only one long delay facility in Georgia for patients with mental disorders. The study involved 58 people, 29 participants was patients with chronic mentally deseases, and 29 participants was relatives of the patients. All patients were hospitalization during 12 months.

For interviews of patients and their relatives, It was used HoNOS, which is assessment scale of the social and behavioral problem, cognitive function and severity of symptoms and also MANSA, which is short questionnaire about quality of life of Manchester.

According the results, patients with mental health disorder stay in the hospital during the years. There are some of them, which are not necessity medical treatment, but relatives have not taken or do not have a place to go. In the hospital their treatment include medicine, but for recovery they need psycho-social rehabilitation and independent living skills. This long-term treatment of these persons is a cause of social isolation and loss of labor skills.

The results echo the findings of international research about the social factors which contribute long delay in the hospital, in the case when the patient does not require intensive medical intervention. Such as: financial problems - 34%, cognitive and social factors - 55% and other.

Key Words: Social factors, the long stay hospitalization non-medical causes

## მადლობა

დიდი მადლობა თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის რეზიდენციული განყოფილებას კვლევის ჩატარებისათვის გაწეული დახმარებისთვის. განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ ნ.ზავრდაშვილს და პროფ. ეკა ჭყონიას და საავადმყოფოს მკურნალ ექიმებს.